კვირა 9 მაისი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათრახი

№ 19. — სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

მისალმება.

ოჰ, შენ, კომეტა!
მაცოდნა ნეტა
რამ გაგაცეტა!
ვით მინდორ-ველი,
ვით ფიცარ მელი!
კუდი გაქვს გრძელი
სალამი შენა,
რომ გიყვარს ფრენა,
ჩემ ლექსთა სმენა!
მოგვესალამე
ჩემ ხალხსა და მე,
რამე გვა...

გ. გვაზავა.

შეკრთა კომეტა, მას თავისს დღეში
არსად სმენია ასეთი ლექსი!!!
შემოტრიალდა... იბრუნა პირი...
და რიდა ასცდა ქვეყანას ჭირი!



ლითოგრაფია ს. ბიხოვისა.

პატარა ფელეტონი.

ინტელიგენტი.

ქუთაისის ერთ მიყრუებულ უბანში, მკითხავმა მაიკომ დიდი სახელი მოიხვეჭა.

საიდან გნებავთ, რომ მასთან მნახველები არ მოდიოდეს და რა ჯურის ხალხი გინდა მას არ ნახულობდეს. მართალია უფრო ხშირათ შეუგნებელი გლეხ-კაცობა და შეგნებული სამხედრო პირები არიან იმისი მუშტრები, მაგრამ არც ისე იშვიათი მოვლენაა მაიკოს ოთახში ქართველი ინტელიგენტისა, ვაჭრისა, ღვთის მსახურისა და სხვა მის მაგვართა ნახვაც.

ქუთათური ცნობილი ინტელიგენტი, ტიტიკო ქარაფშუტაძე, თავის ნაწერებში ყოველთვის წინააღმდეგი იყო მკითხაობისა, სოფლურ ზნე-ჩვეულებათა და სხვა მრავალ ცრუმორწმუნეობისა. ის მუდამ თავგამოდებით ებრძოდა ყოველ ამგვარ მოვლენებს, რასაკვირველია მამასახლისის ნებართვით და სამართლიანათაც დაიმსახურა „ჩუმი მებრძოლის“ სახელი.

მიუხედავათ მძვინვარე რეაქციის, ტიტიკო ქარაფშუტაძე დღესაც „თავისს აზრზე“ სდგას და უჩინარის ენერგიით ებრძვის ყოველგვარ სიდუხჭირეს ცხოვრებისას.

მაგრამ კუდიანი ვარსკვლავი ვის არ დაუნგრევს რწმენის სიმტკიცესა და შეურიგებლობის კედელს!

ტიტიკო ქარაფშუტაძემ, როგორც შეგნებულმა ქართველმა ინტელიგენტმა და თუ გნებავთ, როგორც ქართველმა პუბლიცისტმა, ჩინებულათ იცის' რომ კუდიან ვარსკლავს განგება ადამიანთა დასასჯელათ აგზავნის. მან ზედმიწევნით იცის, რომ ამ უჩვეულო სანახაობას უთუოდ უჩვეულო რამ შემთხვევაც მოჰყვება ხალხოა ცხოვრებაში, რომ კუდიანი ვარსკლავი ადვილათ შეიძლება დაეჯახოს დედა მიწას და სულ კბილები ჩაამტვრიოს ბებერ ქვეყანას. მან, წარმოიდგინეთ, ისიც ჩინებულათ იცის, რომ ასეთი შემთხვევები ხშირი ყოფილა მსოფლიოს ისტორიაში, რომ ნოეს დროინდელი წარღვნა სწორეთ კუდიანი ვარსკლავის ბრალი იყო, რომ... მაგრამ ვინ მოსთვლის, რამდენი რამ იცის ტიტიკო ქარაფშუტაძემ და რამდენი „რომ“ დაგვჭირდება იმის აღსანუსხავათ.

მიუხედავათ ყოველივე ზემოთქმულისა ტიტიკო კარაფშუტაძემ სრულიადაც არ იუკადრისა ენახა ქუთათური მკითხავი მაიკო და თავისი წვლილიც შეეწირა ღარიბი ქვრივისათვის.

აბა მაიკომ რა იცოდა ტიტეს კეთილი და უეშმაკო განზრახვა. დიდის დაკვირვებით ახედ-დახედა მის გამხდარ სახეს, მის მოგრძო ცხვირსა და მაღალ შუბლს. ეჭვის თვალი მიავლ-მოავლო ინტელიგენტის, გაზეთით გატენილ, ჯიბეებს და მაგრად მოუჭირა ხელი პატარა ჭრელსა და ლამაზ კენჭს, რომლითაც ის ასე საუცხოვოთ წინასწარმეტყველობს.

ტიტემ, ან უკეთ ვსთქვათ ტიტიკომ, დერეფანში დატოვა ახლად ნაყიდი საზაფხულო კალოში, რომლის შიგნითა მხარეზე გარკვევით დაეწერა (ალბათ სიფრთხილის გულისათვის) „ეს კალოში ეკუთნის ტიტიკო მათეს ძე ქარაფშუტაძეს -ო.

დაკვირვებულმა მაიკომ ეს მაშინვე შენიშნა და ამოიკითხა.

— დაბრძანდით ბ-ნო ტიტე! ზრდილობიანათ მიესალმა მოხუცი.

ინტელიგენტი ძლიერ შეკრთა ამ მოულოდნელ სიტყვებზე და მის გულში უნებლიეთ შეირყა რწმენა მკითხავთა თვალთმაქცობისა

— საკვირველია, საიდან გაიგეთ ასე ჩქარა ჩემი ვინაობა? დაბნეულათ იკითხა ტიტიკომ და დაბალ სკამზე მორცხვად ჩამოჯდა.

— ჩვენი ხელობა განა ეგ არ არის? თუ ესეც ვერ მოვაგვარეთ, მაშინ ხომ შიმშილით დავიხოცებით.

ტიტიკოს მაინც ეჭვი დაებადა მკითხავის გულწრფელობაში. ძლიერ ეჭვიანი კაცია! მან მსწრაფლ მოუპოვა თავის ეჭვებს გასამართლებელი საბუთი და დაასკვნა, რომ მკითხავი მას იცნობს, როგორც პუბლიცისტს და ამიტომ არც უნდა გაჰკვირებოდა მისი სახელის ხსენება.

— თქვენ ალბათ წაგიკითხავთ ჩემი ნაწერები? შეეკითხა ის მკითხავს.

— დიახ, დიახ. ძლიერ ხშირათ ვკითხულობთ თქვენს წერილებს. მიკვირს, რატომ ამ კუდიან ვარსკვლავზე კი არაფერსა სწერთ?!

ქარაფშუტაძეს ძლიერ ეწყინა ეს ამბავი, რადგან საყვედური თავისი მწერლობისა ჯერ არავისგან სმენია და სიტყვის მისაფუჩეჩებლათ პირდაპირ საქმეს შეუდგა.

— რა აზრისა ხართ თქვენ, ქალბატონო, ამ კუდიან ვარსკლავზე? მოგველის რამ ხიფათი, თუ მშვიდობიანათ ჩაივლის საქმე?

მაიკო უკვე დამშვიდდა. მას დაეკარგა ყოველივე შიში ინტელიგენტისადმი! ამოიღო თავისი ჭრელი კენტი, დაიდო ხელის გულზე, წარბ-შეჭმუხვნით გაუჭვრიტა ორ-სამჯერ და დაიწყო:

— სულ ტყუილია შვილო, სულ ტყუილი! ეს ვარსკლავი დედა-მიწას ვერაფერს დააკლებს. აგი ისე ნათელი და უეჭველია, როგორც მე თქვენ გხედავთ, როგორც თქვენ ტიტე თომას-ძე ქარაფშუტაძე ბრძანდებით

ტიტეს გული შეუქანდა. მართალია მას იცნობდენ, როგორც მწერალს, მაგრამ მიუხედავათ მისი მუდმივი თხოვნისა: „ჩემი სახელ-წოდება სავსებით მოაწერეთო“, გაზეთის შეუსმენელი რედაქ-

ტორები მაინც არ უსრულებდენ თხოვნას. ახლა წინანდელზე მეტათ გაუკვირდა მკითხავის ასეთი გულთა მხილაობა და მდიდარი ცოდნა.

ალბათ ამ გარემოებითი იიხსნება, რომ ის, გაბედული და პირდაპირი მოქალაქე, ვედარ შეელაპარაკა ვიღაც უსწავლელ დედაბერს, რომელიც მკაფიო ენით განაგრძობდა:

— ეს კუდიანი ვარსკლავი ძლიერ თხელია შვილო, ის თუნდაც მოხვდეს მიწას ამით არაფერი დაშავდება, მაგრამ ..

აქ მიკომ კიდევ გაუქვრიტა პატარა ჭრელ კენჭს და ქარაფშუტაძის ყურადღება სრულიად დაიმონავა.

— მაგრამ აი, შეხედე, ამ პირველს მოჰყვება მეორე, უფრო დიდი, უფრო მაგარი, უფრო საშიშარი.

ტიტიკოს მუხლები აუკანკალდა. მოსალოდნელი უბედურება მას უკვე სიცხადით თვალწინ წარმოუდგა.

— ის უთუოდ დაეჯახება ჩვენს ქვეყანას. დაეჯახება და დაღუპავს კიდევაც. მისი ამოსუნთქული ორთქლისაგან ქვეყანას გაუჩნდება ცეცხლი, რომელიც გადაბუგავს ხმელეთს და ამოაშრობს ზღვებს.

ქარაფშუტაძეს უკვე დაებადა აზრი: წინეთ განზრახული ათი შაურის ნაცვლად მანეთი მიეცა წინასწარმეტყველი მოხუცისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ მზათ იყო, მისი სიტყვების სმენლით დამტკბარიყო.

— კარგი, ეს მეორე მოდის, მაგრამ ასტრონომების ნებართვით მოდის თუ ისე, უნებურათ?

ტიტიკომ ჩინებულათ იცოდა, რომ ყოველი კუდიანი ვარსკლავი ასტრონომების ნებართვით დადის, რომ თუ არ რუსის პროფესორი გალლეის ნება, ვერც ეს კუდიანი ვარსკლავი მოვიდოდა წელს.

— არა შვილო, იმას არა აქვს ნებართვა. ის ისე მოდის თავისი ძლიერებითა და განზრახულობით. მას წინ ვერაფერი ვერ დაუდგება. თუ წინეთ ქვეყნის წარვლინება წყლითა და წარღვნით იყო, დღეს ცეცხლითა და ალით უნდა მოხდეს, ეს აუცილებელია.

მიკო ხშირ ხშირათ უქვრეტდა თავის პატარა კენჭს და ამით მორწმუნე ტიტე ქარაფშუტაძეს შიშს ზარსა ჰკვრიდა. ის გაოცებაში მოჰყავდა მიკოს დალაგებულს და მტკიცე კილოს, მის შორსმჭვრეტელობასა და „მდიდარ ცოდნას.''

— როდის იქნება, დედი, ეს მეორეთ მოსვლა? კრძალვით შეეკითხა ტიტო.

— ეგ შვილო ჯერ არავინ იცის, მაგრამ პირველს უთუოდ უნდა მოყვეს მეორე. ის მოვა დასავლეთიდან და გაანადგურებს აღმოსავლეთს.

ამის შემდეგ ქარაფშუტაძემ დალაგებითა და დაწვრილებით გამოიკითხა თავისი საკუთარი, ოჯახური ამბები და უმეტეს ნაწილათ კარგი ეკონომიერ იმედებით გამოვიდა მიკოს პატარა ქოხიდან.

—

ბულვარში ქარაფშუტაძეს მთელი რიგი ნაცნობებისა დაეხვია და ცნობის მოყვარეობით უსმენდენ:

— არა, მე მაინცა და მაინც არაფერი მჯერა მათი, მატყუარა ხალხნი არიან საზოგადოთ ეს მკითხავ-მარჩიელები, მაგრამ ეს დედაკაცი კი სწორეთ გაგაოცებს ადამიანს. შეუძლებელია კაცი არ დაეჭვდე!

მეორე დღეს ქუთაისურ ნტელიგენტთა სხვაფსხვა ჯგუფი შედი-გამოდიოდა მიკოს ლარიბულ ოთახში.

რასაკვირველია მკითხავების საზოგადოთ მათ არა სჯეროდათ, მაგრამ...

ეშმაკი.

დ ე ბ ე ბ ი.

(ვოლდემარის საგენტო)

ფოთი. ენკენისთვეში დაიწყება არჩევნები ნიკობურგის ლანდტაგში. ასარჩევია: დეპუტატები, ბურგომისტრი და მისი მოადგილე. ახლავე დაიწყო საარჩევნო სამზადისი და როგორც უმავთულო ტელეფონით გადმოგვცენ, ნიკობურგის მცხოვრებნი ორ უკიდურეს პარტიათა: იაკობინცების და იონისტების სარბიელს წარმოადგენენ. ბურგომისტრის კანდიდატობაზე წამოყენებულია ორი ბელადი, რის გამო ცხარე შეტაკება მოსდით იონისტებს იაკობინცებთან. მოსალოდნელია დიდი სენსაცია.

იქადანგე. ლანდტაგის არჩევნების მოახლოვების გამო იონისტების და იაკობინცების პარტიათ ცენტრალურ კომიტეტებმა პლენარულ სხდომაზე დაადგინეს აგიტატორები დაგზავნონ ნიკობურგის პროვინციებში: ნაბადაში, ნახუტურში, ახალ-სოფელში, კაპარჭინის საწარმოეო რაიონში, ნიკობურგ ცენტრში, და ნიკობურგის ნახალოვკაში (პორტში, მუშებში.) საარჩევნო სამზადისმა ძლიერ გამოაცოცხლა ქალაქი.

იქადანგე. ნეტარ ხსენებულ გაზეთ „Приріонскій край''-ს გამოცემა განახლდა. რედაქცია გადავიდა ახალ ბინაზე ე. მაღლაკელიძის სამიკიტნოში. ფრიად ფილოსოფიური გვამი ფილიკოვი, (რედაქტორი ხსენებულ გაზეთისა) ბახუსით მირონცხებული. მაღლაკელიძის გუდებზე ხშირათ ახდენს მეცნიერულ გამოკვლევებს.

იქადანგე. დაიწყო ეგზამენები. გიმნაზისტ-გიმნაზისტკები პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებით ეგზამენების დასრულებამდე დამწყდენილნი იქნებიან სახლებში, დაბაშნი არესტის 127 სტატიის, მე-9-რე მუხლის მე-7-დე კუდის ძალით. ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი სიხარული გამოიწვია მოარშიყეთა ლიგაში.

ვის როგორ ეჩვენება კომეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყლეჩები. ერთი დახედე ამ ტიალსა, ნამდვილი სტრაჟნიკია, აი!

გ. ლთახამიძე.
ნ. კილანდაძე. } ეს რაამბავია, კაცო, ნამდვილ მუშტს არა გავს!?
გ. ამირაჯიბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ჩ უ ქ ა რ ი.

—

არა, არ ვსტირი დაკარგულს
და აღარ ვიგლოვ წარსულსა,
ნიავ ქარს მივსცემ კაეშანს,
აზრებთან გადახლართულსა.

დე, სინანულის შავი მთა
შავმა ღრუბლებმა დაჰფარონ,
და მოგონება მქენჯნავი
მთას იქით მიასამარონ!..

აქეთ კი... ისევ იფეთქა
სიცოცხლის ძალმ ცხოველმა,
მოირთო საქორწილოთა
და ლხენა იწყო ყოველმა:

ცას კვლავ რიჟრაჟი გაეკრა,
აპრელ-ამწვანდა მთა ბარი
და ძღვანთ მომართვა ბუნებამ
თავისი ნაამგარი:

ველი მორთული ზურმუხტით,
ზედ ლალებ ჩამობნეული,
იდუმალ ხელით ვერცხლისა
ძაფებით ამოხვეული;

იაგუნდით და ალმასით,
მარგალიტების თვლებითა
კაზმული, გადაქარგული
უმაღლეს ხელოვნებითა.

მიწვდის თავის მკერდს ბუნება:
,,მიიღე, შვილო, ძღვენო!
ვიცი, ხარ ტანჯვის ამტანი
და ბევრ ჭირმონათმენიო.

მარა დაგიცხრობ გულის წყლულთ
მოგიკლი, დაგიყვავებო,
და, სამაისო ვარდებთან,
იმედებს აგიყვავებო;

კვლავ ფრთებს შევასხამ შენს რწმენას,
გავხდი არწივის დარათო,
რომ მთის წვერთ ფეხით სთელავდეს
და ბატონობდეს ბარათო!''

ხმავ-იდუმალო მშობლისა,
გულის სიამევ ნანაო,
ჯერ არსაითგან მსმენია
ნუგეში ამისთანაო!

აწ აღარ ვსტირი დაკარგულს
და აღარ ვიგლოვ წარსულსა,
ნიავ-ქარს მივსცემ კაეშანს,
ფიქრეფთან გადახლართულსა.

საგაზაფხულო ჰიმნ-სთვის
მეც ჩანგს ავუწყობ სიმებსა,
უიმედობა, ნაღველი
ჰანგს ვეღარ დამიმძიმებსა..

წავალ, მოვნახავ მარგალიტთ,
ალმამს-იაგუნდ-ლალებსა,
შევკრებ... მეც ვუძღვნი საჩუქარს
ცხოვრებით განაწვალებსა!..

ნ. ზამლეთელი.



ეშმაკის კალენდარი.

მაისი.

პირველ ყოვლისა, პატივცემულნო მკითხველნო, მაისი ცოტა უნდა შევცვალო. მართალია არსებითად მას ბევრი არაფერი დააკლდება და არც შეემატება, მაგრამ ჩვენთვის უფრო უშიშარი და უხიფათო კი იქნება.

ამგვარათ მე ვსპობ მაისის პირველ რიცხვს და სამაგიეროს ვუმატებ ბოლოზე, ე. ი. ვიწყებ თვეს 2 მაისიდან და ვათავებ 32 მაისით.

ეს პატარა ოპერაცია გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პირველი მაისი აგერ ერთი ხანია საშიშარი დღე შეიქნა. კაცმა არ იცის რატომ და რისთვის, ეს დღე მუშებს გაუუქმებიათ. მთავრობას რასაკვირველია ეწყინებოდა ასეთი სიზარმაცე მუშა ხალხისა. განა სხვა ცოტა დადის უსაქმო და მუქთა ხორა, რომ მუშებმაც არ შემოიდგან წელზე ხელი და იბუნდრუკონ?! დამეთანხმებით, რომ უმოქმედო ხელი სხვაც ძლიერ ბევრია!

აი, ამ უთანხმოების მოსასპობათ მეც ვსპობ მაისის პირველ რიცხვს და ეს მით უმეტეს, რომ, თუ მე არ მოვსპე, მესამე დღმა მაინც მოსპობს.

—

2 მაისისთვის დანიშნული სეირნობა წ.-კ. გ.ს. გადიდება მთავრობის ნებართვით. მიზეზი გადადებისა იქნება უნებური (და არა საქველმოქმედო) სეირნობა სეირნობის ორგანიზატორებისა.

იმავ მიზეზით ბრწყინვალება მოაკლდება მსახიობ გედევანოვის 25 წლის იუბილეს.

იმავ მიზეზით ბრწყინვალება მოაკლდება გრ. რობაქიძის სალიტერატურო დილას, თუ საღამო მშვიდობის.

—

უმთავრესი სასჯელი, თუ ჯილდო, რომელიც

მოელის. კაცობრიობას მაისის განმავლობაში, არის გალლეის კომეტა, ანუ კუდიანი ვარსკლავი.

კუდიანი ყველაფერი საშიშია; მაგრამ ვარსკლავი კუდიანი ყველა კუდიანებზე უსაშიშრესია. ის წინამორბედია ათასგვარ უბედურებათა ზოგთათვის და ათასგვარ ბედნიერებათა მეორეთათვის, ვინაიდან უბედურება იშვის ბედნიერებისაგან, ხოლო ბედნიერება უბედურებისაგან.

—

მოსალოდნელია კომეტის კუდი მოხვდეს ბათუმის ქალაქის კასას. ამისათვის ვაფრთხილებ ქალაქის თავსა და მის მოადგილეს, ეხლავ მიიღონ ზომები და სადმე სხვაგან გადახიზნონ კასის ბინადარი ვირთხები.

—

მოსალოდნელია აგრეთვე კუდიანი ვარსკლავი დაეჯახოს ნიკოკი თაყაიშვილის თავს. რა მოხდება ამ შემთხვევაში მეტის-მეტათ ძნელი სათქმელია! შეიძლება კომეტა დაიმსხვრეს და მთელ ქალაქს ცეცხლი გაუჩნდეს (აქ რასაკვირველია ბ-ნი ნ. თაყაიშვილი არაფერ შუაში იქნება), შეიძლება აგრეთვე თავმა ვერ აიტანოს, გასკდეს და ჰაერი მოსწამლოს. ამისათვის, საჭიროა ოზურგეთის ადმინისტრაციამ, თუ მას ხალხის კეთილდღეობა აინტერესებს, სადმე მიფარებულ ალაგას მოათავსოს ბ-ნი ნიკოკი, ან დროებით მოაძროს თავი და ცალკე შეინახოს.

—

თუ ვინიცობაა კომეტის კუდმა შორაპნის მაზრას ჩამოუარა, ეჭვს გარეშეა კოლია ნემსაძე (გ. ამილახვარის ბრძანებით) დაიჭერს მას. კომეტას მშიერ-მწყურვალს გააჩერებენ იმ დრომდე, ვიდრე სულს არ განუტევებს. ეს იქნება ერთად ერთი სარგებლობა, რომელიც მოსალოდნელია აღნიშნულ პირთაგან. ამისათვის საჭიროზეუსაჭიროესია: 4 მაისიდან, ვიდრე შვიდამდე, არც ბ-ნი ნემსაძე და არც ერთი სტრაჟნიკი ამ რაიონისა მაგარ სასმელს არ მიეკაროს. თუ ქვეყნის კეთილდღეობა აინტერესებთ, სამი დღის სიფხიზლესაც შესძლებენ.

—

ძლიერ ადვილი საქმეა, კუდიანი რომელიმე რედაქციაში შეიჭრეს, დასაბეჭდ მასალებს ხელი დასტაცოს, მწერალი ხალხი მიფანტ მოფანტოს (შეიძლება ერთადაც შეაგროვოს). ასე თუ ისე, აქ დიდი დაკვირვებაა საჭირო, რადგან კუდიანი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მარტო კომეტა არ არის და რედაქციებსაც ათასი სხვა მავნე კუდიანი ყავს.

—

კომეტის კუდს, თანახმად მისი სიძლიერისა, შეუძლია მოსპოს ყოველივე ბიწიერი ამა სოფლისა, მაგრამ ის ვერ მოსპობს ეგრეთ წოდებულ ეკზამენებს.

ამიტომაც მაისის განმავლობაში ეკზამენი იმსხვერპლებს 467 მოსწავლე ვაჟს და 352 მოსწავლე ქალს. ამდენი მსურველის გულისათვის განათლების სამინისტროს შეუძლია ეხლავ მოაწყოს საიქიოს კურსები.

—

კომეტის კუდი ვერ მოსპობს აგრეთვე ამ ბოლო დროს გახშირებულ თვითმკვლელობას: ვერც ორგანიულს და ვერც ლიტერატურულს. მაისის განმავლობაში თავს მოიკლავს 7813 თავისუფალი მოქალაქე რუსეთისა და თავს შეირცხვენს ათასჯერ ამაზე მეტი.

ეშმაკი.



ყ ვ ა ვ ი ლ ი.

—

გარიჟრაჟისას ეცქვიტა ყური,
თითქოს მორცხვობდა, ინაზებოდა,
შვება-სიცოცხლის ცვარ-დანაპკური
პირველ სხივებსა ელიმებოდა.

* * *

შვენოდა ბაღსა... გრძნობის მგოსანი
გულისა დამტკბობ ჰიმნს უგალობდა,
სალამს უძღვნიდენ ზამბახ-იანი,
ჭრელი პეპელაც მისთვის წვალობდა.

* * *

მაგრამ დასტვინა ქარმა სასტიკმა,
ობლათ აღმოზრდილს იმ ბუჩქსა ეცა,
ზარ-დაცემული შეკრთა ყვავილი
ყლორტსა ჩამოწყდა და ძირს დაეცა.
ბულბულმა მყისვე მღერა შესწყვიტა
და მიიმალა ღრუბლებში მზეცა.

—

ეჰ ჩემო ბედო, მარად თავხედო,
ეგებ ამგვარ ხვედრს მიმზადებ მეცა!
მაგრამ დარჩება გულს ვინმე ტოლი
მეგობარი, ან შეყვარებული,
მოსწყდეს თვალთაგან ცრემლი ობოლი
ჩემი დაკარგვით გამოწვეული!?

ნ. ჩხიკვაძე.

მსახიობ გედეონ-მირაღიანის იუბილე



6 მაისს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში, ქართველმა და სომეხმა საზოგადოებამ იდღესასწაულა 25 წლის სასცენო მოღვაწეობა ქართულ-სომხური სცენების დამსახურებული მსახიობის გედეონ გედევანოვ მირაღიანისა.

გასული საუკუნის მე-84 წლიდან ბ-ნი გედევანოვი განუშორებლივ ემსახურება სომხურ სცენას, ხოლო 89 წლიდან ასევე შეეთვისა და შეეტკბო ქართულს.

ხელობით მასწავლებელი, გედეონი, მიუხედავათ პედაგოგის მძიმე მოვალეობისა, თავისი გასაოცარი ენერგიისა და საქმის სიყვარულის მეოხებით, ადვილათ ახერხებდა, ორი სცენის მუდმივი და თვალსაჩინო მუშაკ ყოფილიყო.

მან თაობიდანვე მოიხვეჭა დაკვირვებულისა და სცენის მოყვარე მსახიობის სახელი ,მოხოლოდ ქართულსა, აგრეთვე სომხურ სცენაზედაც ზშირად გამოდიიდა პასუხ-საგებსა და მძიმე როლებში, რასაც ყოველთვის დაკვირვებით და ლამაზათ ასრულებდა.

მთავარ ძარღვს დღევანდელ დღესასწაულისას, ჩვენის აზრით, არ შეადგენს, როგორც სასცენონიში პატივცემული მსახიობისა, არამედ ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელშიაც მას უხდებოდა შრომა.

ჩამომავლობით სომეხი, ის ღიძილი შვილივით ეთვისება ქართულ სცენას, ქართულ სამოღვაწეო ასპარეზს, ქართველ საზოგადოებას. მიუხედავათ იმ უნუგეშო ეკონომიური პირობებისა, რომელშიაც იმყოფებოდა და იმყოფება ქართული სცენა, გედეონ მირაღიანი მაინც დაუზოგავათ შრომობს მის სასარგებლოთ და საკეთილდღეოთ, რაიკა აშკარათ ამტკიცებს, რომ მას ქართულ სცენაზე სამუშაოთ იზიდავდა საქმის სიყვარული და საზოგადოების პატივისცემა.

ქართველ და სომეხ საზოგადოებათა ერთგვარი გულწრფელი სიყვარული, ორ მეზობელ ერთა სამართლიანად დამსახურებული პატივისცემა, აი რა ახალისებს და ანათებს უმთავრესად გედეონ მირაგიანის 25 წლის მოღვაწეობის დღესასწაულს.

ის არის შემაერთებელი ხიდი ორ მეზობელ ერთა სცენისა, მათ კულტურულ სამოღვაწეო ასპარეზისა.

და მართლაც 6 მაისის დღესასწაულზე წარმოთქმულ სიტყვათა უმრავლესობა და თვით იუბილიარის საპასუხო სიტყვაც ამ აზრის გარშემო ბრუნავდა.

არ შეგვიძლია მწუხარებით არ აღვნიშნოთ ის მოვლენა, რომ ორმა, ქართველმა და სომხის საზოგადოებამ, არტისტიული საზოგადოების პატარა დარბაზიც ვერ ააავსო.

8 საათისათვის გამოცხადებული დასაწყისი, ქართული სცენის ჩვეულებისამებრ, ცხრამდე გაგრძელდა. პირველათ წარმოდგენილ იქნა ქართულ ენაზე, ერთი მოქმედება ,,ტარტიუფიდან''. ამის შემდეგ სომხურათ პირველი მოქმედება ,,დაქცეული ოჯახსა'', ხოლო შემდეგ ისევ ქართულად ერთი მოქმედება ,,ხანუმადან''. ჩვენი აზრით ეს ნაწილი გაჭიანურებული იყო და პირველმა ორმა მოქმედებამ მოსაწყენი ჩაიარა. საზოგადოება მხოლოდ ,,ხანუმამ'' მოაცოცხლა იუბილიარი სამივე განყოფილებაში დაკვირვებით ასრულებდა თავისს როლს.

შუაღამის 12 სათზე დაიწყო მილოცვები.

ნატალია გაბუნია-ცაგარლისა და სომეხთა დრამატურგი სუნდუკიანცის თანახლებით შემოიყვანეს სცენაზე იუბილიარი, რასაც დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტაშით მიეგება.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, ბ-ნმა მღებროვმა, პირველმა წაიკითხა ქართულათ მილოცვის ადრესი და უნდა მოგახსენოთ, თუ ასეთი კითხვა სოფლის სკოლის მეორე განყოფილებაში ყოფილიყო, მასწავლებლისაგან ეგრე წოდებულ ,,დეიკას'' მიიღებდა.

მღებროვის შემდეგ მიესალამა ბ ნი სუნდუკიანცი (სომხურათ); ამას მოჰყვა ქართული დრამატიული საზოგადოების წარმომადგენელი, ქართულს სომხური დრამატიული საზოგადოების დეპუტაცია. ამის შემდეგ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულოს სახელით მიულოცა ბ-ნმა ქართველიშვილმა.

ქართველ არტისტების სახელით მიულოცა ვასო აბაშიძემ, რომელმაც თავისი ადრესი ამ სიტყვებით დაათავა: ,,იცოცხლე გედეონ ჯან, მრავალჟამიერო‘‘.

აბაშიძის შემდეგ მიულოცეს სომეხ მსახიობთა წარმომადგენლებმა, სახალხო სახლის ქართულმა წრემ და სომხურმა სექციამ, ეჩმიაძინის აკადემიამ, სომეხთა სემენარიის (სადაც მსახიობი მასწავლებლობს) სამზრუველომ, იმავ სემინარიის მასწავლებელმა. შემდეგ მიართვეს სურათი იმავ სემინარიის მოსწავლეებმა.

ქ.-შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების წარმომადგენელი, როგორც განაცხადეს ვერ დაესწო ამ დღესასწაულს მისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო და აღუთქვეს, რომ როცა განთავისუფლდება, მაშინ მიულოცავს.

მიულოცეს აგრეთვე ქართულ ფილარმონიული საზოგადოებისა, სომხურ ,,ლუისისა‘‘, ,,ახალი დრამისა‘‘‘ ჟურნ. ,,ნაკადულისა‘‘, გაზეთ ,,ორიზონისა‘‘, ,,მშაკისა‘‘, ,,თეატრისა და ცხოვრების‘‘, ,,ტარაზის‘‘ რედაქტორებმა.

ბ-ნმა ჩიმიშკიანმა წაუკითხა ქართული ლექსი და რადგან ეს ერთად-ერთი ლექსია ამ დღესასწაულისა, ამასთან მეტათ საყურადღებ ლექსიც, მოგვყავს ის სრულათ და უცვლელათ:

,,ძველ ქალაქელსა განჯის უბნელსა,
ქართულ და სომხის თიატრის არტისტსა,
ჩემ ძველ ამხანაგ. იაგორას ძმას,
დეკანოზის შვილ გედეონ მირალიანსა.
ესე დაწერილი და ეს დავთარი მიერთოს ფეშქაშათ.
ჩვენს თფილისიდან მოქალაქისაგან,
თქვენ ძველ მეზობელ ხარფუხის უბნის,
ხარფუხელ ძმის და მეგობრისაგან,
შემდგენი სომხურ კალენდრების,
მაკარ ჩიმიშკიანისაგან.

—

სულით და გულით გილოცამ შენს იუბილეს
მოამაგევ ქართულ-სომხურ თიატრისა,
სახელოვანი მშვენიერ შენს თამაშობასა,
ჩემგვარ ფარვნეპი ყავს ყოველთვისა,
განძი ჟანგია თვალს აბრმავებს,
კაცის სახელია რომ უკვდავია,
როგორც შენი წარმაშობილი ტიპები,
დარჩება მოუშლელათ ჩვენს გულშია.
დღეიშემდექ აწარმე შენი ქნარი და მუზა,
ძალ-ღონე იმატე უკეთ თამაშობისა,
წარმოადგინე სცენები ყარიბ-ღატაკებისა,
რომ ამოწყდეს ჩვენგნით სიბოროტესა.
ჩემი გულიდან ამონახეთქი ეს წერილი,
მიიღეთ ფეშქაშათ და ეს დავთარიცა,
ამაში შენი სურათი დამიბეჭდია,
რომ შენი ამაგი დარჩეს ყველას გულშია.
ღმერთო შენ შაინახე ჩვენი თიატრი,
გარედან შემოსულ შეითანებისაგან,
და წამებულ დაჩანგრულ ხალხსა
არასოდეს ნუ მოგვაშორებ სიყვარულ ძმობას
თქვენც კი შვილეპო ჰაიოს ქართლოსის,
დღევანდელი დღე შეინახეთ სახსოვრათა,
ქართულ-სომეხთა ძვირფას ერთობა,
ჩვენ გონებაში ჩანეგრდეს საუკუნოთა.
რათ როგორც დღევანდელ დღის გმირი,
კავშირი ყოფილა ქართულ-სომხურ თიატრისა,
ამისათვისაც ჩვენც აქ დამწრენნი,
გავიძახოთ ერთათ ,,ვაშა და კეცცე‘‘ მირალიან-გედეონოვისა.

მ. ჩიმიშკიანი.

შემდგომად ამისა წაკითხულ იქმნა დეპეშები, როგორც სხვა და სხვა პროვინციალურ დაწესებულებათაგან, აგრეთვე კერძო პირთაგანაც. ამას მოჰყვა ზაზანდარი, თვით იუბილიარის სიტყვა და ნაშუალამევის $1^1/_2$ საათზე საზოგადოება დაიშალა.

—კი.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

სამტრედია. აგერ თითქმის ერთი წელია, რაც ადგილობრივი საზოგადოება სულითა და გულით ელოდება ი. ჯაშის და ,,იაქის‘‘ საქმის განაჩენის გამოტანას. მაგრამ ჯერაც ვერ ეღირსა. ამ პროცესის შემდეგ დაიწყო ,,ტარანოვსკაიას‘‘ გასამართლება და მგონი ის ადრეც დასრულდეს. მუდამ დღე იაქეს ახალი საბუთები მოაქვს და ჯაშსაც ასე. ნეტა როდემდის?

ოქიდანვე. 30 მაის, დიდი და გაძლიერებული ჩხრეკა იყო დაბა სამტრედიაში. გაჩხრიკეს მხოლოთ სამი სააფთიაქო მაღაზია. წაიღეს ბევრი არა ლეგალური წამლები. დააპატიმრეს რამდენიმე რეცეპტი. უმადური არავინ დარჩენილა გარდა მაღაზიის პატრონებისა და ზოგიერთ ქალბატონებისა, რომლებსაც, პუდრი და სხვა ნელსაცხებლები გაუძვირდათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მესტვირული

(გლეხთათვის)

დიდი ხანია სტვირისა
ღიღინი აღარ მსმენია
იმედის ხმაზე, საამოდ,
არავის მოულხენია.
რა გამახარებს სხვა მეტი?
რაც არის—მოსაწყენია
სულის შემხუთავ, გულისა
მომწამვლელ—ამატკენია.
ჰო, ისევ უიმედობა.
ისევ შავ-ბნელი დღენია,
ისევ კვნესა და გონება
ჰირი, ვარამი, სენია,
ისევ ლუკუმი, ბნელეთი,
ჯოჯოხეთური გენია.
მზე წყვდიადშია შთანთქმული
სინათლის შუქის მფენია,
ფრთა გაუშლია შავ-ძალას
გამხრწნელი სუნი სდენია,
შური, ღალატი, სიყალბე,
მეფობა მათ დარჩენია,
გულში გესობა ეკალი,
სულსა ვერ მოუსვენია,
შფოთავ და ვერას აკეთებ.
ტანჯვა ვერ მოგითმენია,
რაღაა ნეტა სიცოცხლე,
ადამიანო, შენია?!
რათ სტირის ნეტა ბულბული,
ცრემლი რათ მოსდის ცხელია?
ნუთუ დაუჭკნა მას ვარდი,
ალი ედება მწველია.
რაღას გაჰყვირის, ყორანი,
ბინძური, ლეშის მკვლევია,
რატომ დასჩხავის სოფელსა?
სჩანს წყურვილს დ უძლევია
მსხვერპლ' ა დაეძებს უშიშრად
ხევ-ხუვი დაურბევია.
ეხ! შენ რას გიგავს ამა დროს
გლეხო, ცხოვების ბჭენია,
რა შემთხვევია უბედურს,
რას უცდი, რა დაგრჩენია,
ესე დიდება ყოველი
ტანჯულს თუ გაგიჩენია
შენივე შექმნილ ცხოვრებას
მოსთხოვე განაჩენია·
გამოიღვიძე ნუ გძინავს
შეხე, რა რიგ ჰყეფს გუგული,
ალბათ ყანაში გიწოდებს,
ნუ წაგიხთება ძმავ გული,
გაიორკეცე იმედი
კვლავ დასტრიალდი—ბედ-კრული,
თოხი და ბარი იმარჯვე
და გულით დაკაჟებული
გზა გაუკაფე სიმართლეს
ოფლითა დასველებული.

ნალარა.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(გ-ს საბენტო)

(უმეცრებისათვის გამო დაგვიანებული.)

ნიგოითი. კირილეს და ვანოს შორის შავმა კატამ გაირბინა. ვანომ კირილეს მექრთამეობა უჩივლა, სადაც ჯერ იყო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუგდეს. კირილემ გაიმარჯვა. ასეთ არა სასიამოვნო მოვლენას ვერ გაუძლო მესამე მედგარმა წევრმა ლავრენტიმ და თითქმის ორი თვე ლოგინად ჩავარდა.

იქიდანვე. ადგილობრივ სკოლის ამგებ ვექილებთა შორის მარტო ცხვრის ჭამამ არ იკმარა. ხუთ ხუთ თუმნობით გამოსარჩენს შეეცადენ. ამას მოყვა სმოტრიტელ ძიძიგურს და ვექილ კონსტანტინეს შორის დიდი უთანხმოება. ვექილმა კონსტანტინემ აღმოაჩინა 50 მანეთიანი ყალბი ვექსილი. გამოძიებამ აგრეთვე გამოახტუნა მუდამ კანცელარიის კარებზე მყოფი და დახელოვნებული აბლაკატი ექვთიმე.

იქიდანვე. ყველა ორ კლასიანი ყმაწვილები

მასწავლებლობენ ⁄ თუმცა ნიგოითში სკოლები გამრავლდენ მაგრამ ადგილობრივ მასწავლებლებს მაინც ვერ იტევს. ამის გამო ადგილის შოვნაში დიდი მოცილეობაა. გამარჯვებულია ვინც მაპავარიანის სასარგებლოდ მეტს იტყვის, ხოლო დამარცხებული კი საზოგადოება ასეთი მასწავლებლებით.

იქიდანვე. აქაური გლეხები, საყანეებზე ბაჟის შემცირების გამო ერთმანეთს ეცილებიან. მუშტებს ვარდა საქმე დანაზედაც მიდგა. ჯერჯერობით მხოლოდ ირ. ფირცხალიაშვილი დაკლეს.

იქიდანვე. ადგილობრივი ერთობის დროინდელი ამხანაგები ჯაშუშებს ეძიებენ, რომ მათი რისხვა თავიდან აიცილონ. ამბობენ: ამით ჩვენ სატუსაღოს ავცდებით და თუ ერთობა მობრუნდა მაშინ ხომა და ხომაო.

(ნადოლნით).

არა! აროდეს! შენ ტყვილს არ გეტყვი!
იმ წამს შემთხვევით არ დამიგვიხარ,
ასჯერ ავსწონე, რაც უნდა მეთქვა
და ჭკაცრი მსჯავრი მას მერმე გითხარ!
დიახ, ვიფიქრე, ისე ღრმათ ტურფავ,
ვით შენ გეტოფოდი, ვით შენ მიყვარდი,
ღრმა სიყვარულით ღრმათვე ვაგკიცხე
და ჩაგიწვეთე გულს შხამი, დარდი.
დე, სხვები სდევდენ ბრბოს, ვით მონები!
არ მოვაგონებ მათ ნავიწყ ღმერთებს!
შენ-კი უმწიკულოვ, უმანკო სულო,
გახრწნილთა გუნდი ვერ შეგიერთებს...
ვერ დავანებებ შენს თავს ვერავის,
ვერ გაგიმეტებ აგრე ადვილათ,
ვერ მივაკარებ უღირსთ, ღვთაებავ,
შენს გულს მძგერს წრფელათ და სიამ-ტკბილათ.
შენ საპირო ხარ.. არა ბილწ ვნებით
დასაამებლათ სიმდიდრე გიძღვნა
სულის შენ ზეცამ და წმიდა გრძნობა
ბუნებამ ჭეშმარიტ გულში ჩაგიწნა,—
არა, შენ გელის ტანჯული მომმე,
შენს ბრძოლას უცდის აზრი დიადი!
შენ უნდა დასვა ტახტს სიყვარული,
უნდა გვანახო ცით განთიადი!

ვ. მალაქიაშვილი.

დეპეშები.

(ჩიკლიკოს საააგენტო)

თბილისი. დიდი ხანია, მას შემდეგ, რაც სასულიერო სასწავლებლის ტემლაკიანმა მასწავლებელმა მიულოცა აღდგომა ⁄ გაემგზავრა ველისციხეში სასჯელის მოსახდელათ.

იქიდანვე. ქალთა პროგიმნაზიის მასწავლებელ ქალებმა საადგომოთ ფათალოს გვირგვინი მიართვეს ინსპექტორ ცისკაროვს, რომელმაც [illegible] დასტოვა გოლოვინსკაიას ინ[illegible].

იქიდანვე. მომავალ პროგიმნაზიის მიხაკო თათუზოვი თავის სახლებში ათავსებს.

იქიდანვე. ქალთა პროგიმნაზიის მასწავლებელ ქალებმა თხოვნით მიმართეს სამხედრო მინისტრს, რათა ადგილობრივი ჯარი ისევე თელავში დასტოვონ. უკანასკნელ შემთხვევაში აფიცრები მაინც.

იქიდანვე. ამ მოკლე ხანში დანიშნულია კურდღელაურის და კავთის მღვდლის არჩევა. ამის გამო ვასომ და არჩილამ კანდიდატ მღვდლებისაგან აუარებელი თხოვნები მიიღეს. თხოვნებს იღებენ როგორც სახლში. ეგრეთვე ქუჩებში და საქალაქო ბაღში. ჰპირდებიან რომ, თუმც ბატონ-ყმობა გადავარდა, მაგრამ უკანვე დაბრუნებენ და ყმათ გაუხდებიან, ოღონდ კურდღელაურის მრევლი დაუმტკიცონ. თხოვნებში იხსენიებენ რომ არჩილას და ვასოს იქით გზა აღარსად აქთ, რადგან კნ. ნიკომ დიდძალ თხოვნების გამო, მაზანდა ძლიერ აუწიაო.

შარადა

ალბად ნახავდით: ქუჩებში
დადიან დარაზმულები,
ერთფერნი, ერთი ზომისა,
თავი აქვთ დაპარსულები,
ტანზე აცვიათ ფარაჯა,
ან ბლუზა გაზანგულები,
მხრებზე დაუკრავთ ნაპერი
ზიზლებით დახაზულები,
ხელში უჭირავთ სასროლი,
ზედ რკინა წამოცმულები,
მათ შენახვაზე იხარჯვის
აღურაცხელი ფულები.
(ინტენდანტებსაც ბევრი აქვთ
იქიდან მოპარულები!)
აი ამ ხალხის სახელი
არს პირველ მოსაძებნელი,
და აქ უმტყუნოს გონებამ
ვინ იყოს ეგზომ მზებნელი?!
მაშ ეხლა ისევ მეორე
სიტყვისა გვმართებს ძიება...
აქაც დიდი ხნის ჭოჭმანი
არავის ეპატიება,
წყალი ჩამოდის ზეციდან,
(თუ ძლიერ არ ეცოება)
ჭაობს ქმნის, ჰაერს გვიწამლავს,
შვილად ყავს ცხელებ-ციება...
ვარჩევდი თავი იმისთვის
განგებას რო არ მიება,
მიტომაც წინა მარცვალის
გერჩიოსთ გამოტიება.
და იმ დარაზმულ პირველსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაბით ბოლო ამისა,
გამოვა სახელ-წოდების
სარედაქტორო შხამისა.
სულთამხუთავი სოფლელთა
(მეტადრე ბოლო ჟამისა)
საფასურია გვამების
ტერორით შენაჭამისა,
(არა უმცირეს თითოზე;
ათასის ორი სამისა!)

კოლო.

დეპეშები

დიდი ჯიხაიში. გამკითხველოს ორასამდე წევრი ყავს. ისინი დაყოფილია ხარისხებათ: დამფუძნებელი, საპატიო, უბრალო, დამხმარე, დამსწრე, არა დამსწრე, მოარშიყე და სხ. მათი დახმარება გამოიხატება იმაში, რომ ხუთ წელიწადში შეიძლება ერთხელ გადაიხ დონ საწევრო ფული

იქიდანვე. გამოითქვა აზრი ბიბლიოთეკის გადაკეთების შესახებ, მაგრამ, რადგან გამოირკვა, რომ ის ახლაც სალაყბო და საპაემანო დაწესებულება ყოფილა, გადაწყდა დარჩეს უცვლელათ.

იქიდანვე. დაიკარგა სამედიატორო სასამართლო ქსენონის ყოფილ კომიტეტისა და ბ-ნ კიკოლა-ბიძეს შორის. მნახველს პრემიათ მიეცემა ერთი ეკზემპლიარი. ბ. ტ. ართემალიძის უკანასკნელი თხზულებისა. ,,კირა''

ყვავილებს

აბიბინდი, ტურფა მდელოვ,
მოიკაზმე ია-ვარდით!
გაიფურჩქნეთ, ყვავილებო,
გაიზარდეთ და გაჯარდით!
დღეს რომ ძვირობთ: ბაღებ მინდვრებს
არ ამშვენებთ ადრინდულათ,
თითქოს რაღაც ჯადო ქარმა
დაგქროლათ და გასწყვიდით სრულათ ..
ვიცი, ვიცი... ზღვის ნიანგთა
ველს მოედო დიდი ჯოგი
და იმისგან ყვავილებიც
აღარ იქნა დანაზოგი...
მაგრამ ისევ მოიკაზმე
ია-ვარდით, მინდორ-ველო!
და მნათობო, შენც სხივები
ზედ დაჰკარგე, სანატრელო!
მაშინ... მაშინ მეც გამოვალ
ყვავილების მოსკრეფათ;
შევკრავ კონას: შუაში ვარდს
ჩავრთავ თაიგულის მეფათ,
იქით-აქეთ ჩავამწკრივებ:
იას, სუმბულს, ნარგიზს, სოსანს...
და ამ ტურფა საჩუქარსა
მივთავაზებ შვების მგოსანს.
რომ მან გრძნობით ააჟღეროს
ჩაღანა და ჩანგი ტკბილი
და დასძახოს გაშლილ მდელოს
საგმირთ-გმირო მოძახილი.
ჩვენც იმ ხმებზე მზათ ვიქნებით,
და ერთმანეთს მივსცემთ ხელსა,
გულშიგან ცეცხლ აღგზნებულნი
მოვედებით ტურფა ველსა;
სიყვარულის წმინდა დროშას
მზის სხივებზე ავაელვებთ,
და ველს, მორთულს ია ვარდით,
ლურჯ ზღვასავით ავაღელვებთ.
ზღვის ნიანგნი ავ განზრახვით
თუ მოედვენ კიდე მდელოს,
,,შესდექით''-თქო შეუძახებთ,
საქმეს ვიზამთ სასახელოს:
არ დავუთმობთ ია ვარდებს
ძალად სტუმრებს, მოსულთ მტრებათ,
ავქუსდებით, გადვიქცევით
ცეცხლის წვიმის ნიაღვრებათ. .
და ვაი მათ, ვინაც იმ დროს
წინ დაგვხვდება ღობე-ზღუდეთ!
ერთის ძალით მივაწვებით,
გავამტვერებთ გაჯხდით მრუდეთ.
მაშ, ამწვანდი, ტურფა მდელოვ,
მოიკაზმე ია-ვარდით!
გაიხარეთ, ყვავილებო
გაიზარდეთ და გაჯარდით!..

ნ. ზომლეთელი.

დეპეშები.

(ჯოჯოხეთელის სააგენტო)

საჯევახო. ,,აბაშის შემნახველ გამსესხებული ამხანაგობის'' წლიურ აღაპს მოყვრების უმცირესობა დაესწრო, რადგან პირისუფლებს სხვების დაპატიჟება მეტი სევდების მიზეზით გავიწყებია. დაესწრენ 4 ხუცესი, ორი მამასახლისი, ადგილობრივი სტრაჟნიკები და 30-მდე მოწოდებული მეგობარ-ნაცნობები. გადასაბურავი შემოვიდა 500 ქანქარი. ნეტარ ხსენებულს დარჩენია 4125 ქანქარი გასესხებული. ზოგიერთ ,,ჰკუიან'' მევალეებს თავისი ქონება გარეშე პირებისათვის დაუმტკიცებიათ, რომ ფული მიცვალებულის მემკვიდრეებმა ვერ აიღონ დღევანდელ არსებულ კანონის ძალით.

იქიდანვე. — ვინც საჯევახოში მახლობელ საზოგადოებიდან შემჩნეულ პირებს ,,შეუმჩნევლად'' ჩამოიყვანს ან შორეულ ქალაქებში არა საიმედო პირებს ,,შორიდგანვე'' დაიჭირავს, იმისთვინ ამზადებენ თურმე ახალ სისხლის ჯვარს, ცისარტყელას ლენტით.

დეპეშები ხონიდან.

ხონი. ჩინოსანმა იოსელიანმა თავის მახვილით გამოსალმა წუთ. სოფელი ერთი ცხენი მეეცლისა, ამბობენ მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე მოხდაო.

იქიდანვე. ამ დღეებში გაიმართა პროგიმნაზიის სასარგებლო საცეკვაო სავახშმო საღამო. გაიყიდა ორმოცი შემწვარი გოჭი და სამოცდა ათი ჩაფი ღვინო. შემოსავალზე შემდეგ.

იქიდანვე. ახალგაზრდა ლექტორი ილია ბახტაძე აპირებს იუმორისტული ალმანახის „რიჟას“ გამოცემას.

იქიდანვე მაღალი წრის ინტელიგენციამ გადასწყვიტა, რომ ეგნატე ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ გამართოს ას ორი წარმოდგენა და თორმეტი საცეკვაო საღამო.

ორ წყალ შუა!

(სამი სურათი შეუვარებულის ცხოვრებიდან)

სურათი მეორე.

(სცენა სწარმოებს სოფ. კ—ში, ერთ აზნაურის სახლში. მარჯვნივ სასტუმრო ოთახია, მარცხნივ ს სადილო, სადაც იმყოფებიან ქვრივი კეკელა და იმის ქალი კატუშა. კეკელა ჩულქსა ქსოვს, კატო-კი, გაშტერებული კედლებს მისჩერებია)

კეკელა. (ჩულქს გვერდზე გადასდებს) შვილო, კატო! ნეტაი ვიცოდე მთელი დღე რაზედ ფიქრობ, რომ ეგრე გაშტერებული შეჰყურებ კედლებს?

კატო. (გამოირკვევა) არაფერს, დედილო. ისრე სურათებს ვათვალიერებ.

კეკელა (ალერსით) მოდი აქ ჩემთან გენაცვალოს დედაი, უნდა გითხრა რამე (კატო ადგება და დედის გვერდით ჩამოჯდება).

კატო. აბა, რას მეტყვი კარგს?

კეკელა. შვილო! არ ვიცი ღმერთმანი, თუ რას ჩადიხარ, ამოტენა მთხოვნელი მოგდის და ყველას უარს ეუბნები. ნეტავი რას მაგულებ, რომ მაგოტენა ქალი თავზე მაწევხარ. ეგეც რომ არ იყოს, გიორგი ჩხუბით მიკლებს: ჩქარა გაათხოვე, ცოლი უნდა შევირთოვო.

კატო. მე რას ვუშლი გიორგის ცოლის შერთვას? თუ უნდა ოცი მოიყვანოს, მე-კი ჯერ არ ვთხოვდები, ხომ გაიგეთ.

კეკელა. როდემდის, შვილო, როდემდის! აგერ თვრამეტი წლისა გახდი

კატო. იმ დრომდის, მინამ მომეწონება ვინმე, მანამ-კი ესრე უნდა ვიყო.

კეკელა. (წყრომით) მე ვიცი, რაც ეშმაკობა გაქვს გულში და ვინც მოგწონს. ათასჯერ მითქვამს, ტყუილათ ნუ ფიქრობ იმაზე. რომ მოკვდე იმ გლეხის ჰუკს არ მიგათხოვებ.

კატო (გაჯავრებით) შენ ეგრეთი ლაპარაკი ნუ იცი დედა, არავინა გკითხამს, წავყვები თუ არა! თუ მოვინდომე ვერც დამიშლი, გაიგე?

კეკელა მინამ ნურა ჰამოსრაც, იმ გლეხის კიკომ, რომ აზნაურ ს—ს ქალი იმან ვერ შეირთოს. აქაო და ფერშალი ვარო, ორი კაკარდი მაქვსო, თავის თავსაც ბრწყინვალე წოდებაში სთვლის. ერთი რაღაც რუსული მტვრევა უსწავლია და აღარ იცის რა ქნას (აჯავრებს) Какая' душка, я тебя люблю. მე ვიცი რაღაც ლუბლუა, კეტით დავამტვრევ თავ-პირს იმ პრაჩკის შვილსა იმას.

კატო. დედა ჩემო, შენ ადამიანის დამცირება ნუ იცი, აქაო და აზნაური ვარო, დიდი რამე გგონია შენი თავი! ვერ გაიგე, რომ ახლა გლეხები გვჯობიან?

კეკელა. (ქოქოლას აყრის) მე-ხი-კი დავაყარე, რომ გლეხების წუკიანი სისხლი ჩვენს წმინდა სისხლს სჯობდეს.

კატო. (იცინის) ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა... წმინდა სისხლი! ბრწყინვალე წოდება! (იცინის) ხა, ხა, ხა, ხა—სხვა აღარაფერი იცი?

კეკელა. (გაჯავრებით) მე შენთვის რამდენჯერ დამიშლია, ეგ უხეირო კისკისი ნუ იცი მეთქი! თორემ შავ მიწაში გაგაცინებ, შე...

კატო. სასაცილოს ლაპარაკობ და ვიცინი.

კეკელა. რას ხედავ სასაცილოს? მაშ შენი სოლომანი და ღვდლიანცა, რომ ყმაწვილია, სულ ერთია, არა?

კატო. რათ იქნება ერთი, ის სოლომანია, ისკი სხვა არის

კეკელა. მე მაგას როდი გეკითხები: რომელმა გინდა, რომ შეგირთოს?

კატო. მრც ერთმა. მე არა ვთხოვდები

კეკელა. უი ჩემს თვალებს. (ხელებს აქნევს) არ გავთხოვდებიო. მაშ იმას ვალაპარაკებ გლეხის დედაკაცებს, რომ ჩვენ ბატონიანთ ქალი სახლში დაუმჟავდათო, არა?

კატო. (ტირის) შენთან ლაპარაკი არა ღირს, რას ჩამაცივდი (დაიწყებს ტირილს და მეორე ოთახში გადის).

კეკელა. (მარტო) ღმერთმა დასწყევლოს ახლანდელი დრო. ქვეყანა გადაირია, მა რა ჯანდაბაა. ასე გასინჯეთ, გლეხის ბუშებიც-კი დაურიდებლათ ჩვენს ქალებს თხოულობენ. (ამოიოხრებს) ეჰ, სადა ხარ ჩვენო დროვ? (წუწუნით) როდესაც ყველა ჩვენ შეგვყურებდა პირში, ეჰ!.. (კატო შემოდის გიტარით ხელში).

კატო. დედა, „ჩიტიბულა“ მოდის და ის ყმაწვილი მოჰყავს.

კეკელა. (შეწუხებული წამოხტება) უი დამიდგეს თვალები, რაღა ვქნა, უცხო სტუმარი მოდის, — მე-კი ძველი ლეჩაქი მხურამს. წადი შვილო, ზალაში მიეგებე.

კატო. შენ თვითონ წადი, მე ჯერ ვერ გამოვალ.

კეკელა. ჩაიცვი შვილო და ისე გამოდი (გადის).

ვის როგორ ეჩვენება კომეტა



მღვდელი. ღმერთო ჩემო! ეს ნამდვილ თხის თავსა ჰგავს. შენ ალადგინე, მეუფეო, ჩვენი დაცემული სარწმუნოება!

თავადი. რავქნა, ნეტა ეს კუდიანი ვარსკლავია, თუ ხოდოკი? აი, ღმერთო შენ გამაყიდე ეგ მამულები!

კატო. (მარტო) Какой онъ душка! გუშინ გავიარეთ ერთათ მარტო. ისეთ სიტყვებს მეუბნებოდა! . (ჩუმათ) წარმოიდგინეთ, სიყვარულზედაც კი მელაპარაკა. (ჩაფიქრდება). Я съ удовольствіемъ вышла-бы за него. (უცბათ შუბლს შეიჭმუხნის). ‘ერე სოლომანი! რა პასუხს მივცემ? როგორღა შევხედავ თვალებში! არა, არა, მე ვერ ვუღალატებ სოლომანს. (გიტარას მოიმარჯვებს, დაუკრავს და თანაც მღერის):

Одно мнѣ въ жизни утѣшеніе
Мечтать мой милый о тебѣ,
И въ самой грустное наслажденіе
Я нахажу въ одной въ тебѣ и т. п.

(ამ დროს კარები გაიღება და შემოდის კეკელა მხიარული სახით).

კეკელა. შვილო, აქ რასა ზიხარ მარტოკა, რატომ არ გამოხვალ და სტუმრებს არ გაამხიარულებ? შენი გიტარის ხმა რომ გაიგეს, ძალიან მოეწონათ. რისა გრცხვენია, ხომ იცნობ იმ ყმაწვილს, ჰა? თითონ მითხრა, თქვენი ქალი გავიცანიო. წამოდი გენაცვალოს დედაი, მოდი ერთი სინათლეზე გნახო, როგორ გიხდება ახალი კაბაი. ვის არ მოეწონება ჩემი ქალი, ენაცვალოს ამას დედა! ერთი გამოდი შვილო, სტუმრებთან გამოდი!

კატო. რას გელაპარაკებოდენ დედა?

კეკელა. (მხიარულათ) არაფერს შვილო, (ჭკოცნის).

კატო (წყრომით) თუ არ მეტყვი, არ გამოვალ.

კეკელა. უი დამიდგეს თვალები, როგორ თუ არ გამოხვალ, შენი ვულისთვის მოსულნან და როგორ არ გამოხვალ!

კატო. მაშ მითხარი.

კეკელა. შვილო! გეტყვი კი, მარა უარი არ მითხრა.

კატო თქვი, თქვი, არ გეტყვი.

კეკელა. ეგ ყმაწვილი კაცი შვილო სტუდენტი ყოფილა, მდიდარი და ნასწავლი, მალე ექიმობა უნდა მიიღოს (კატო გაიწყვეტინებს).

კატო. თქვი რათ მოსულან? რაში მეკითხება ეგენი, მე თვითონაც ვიცი.

კეკელა. ხომ იცი შვილო, შენ ძალიან მოსწონებიხარ და ახლა ჩვენი მღვდელი წამოუყვანია ჩემთან ‘ოსალაპარაკებლათ. მეც რასაკვირველია უარი არ უთხარი და ახლა შენთანაც უნდა მოლაპარაკება.

კატო. მე არა მსურს ლაპარაკი და არცა ვთხოვდები, თუ გავთხოვდები სოლომანს ვერ ვუღალატებ.

გეგელა. (წყენით) რას მიქვია ღალატი! ფერშალი და დოხტური ერთია?

კატო. ერთი არ არის, მაგრამ მე ის მიყვარს და არა ეგა, გესმის?

გეგელა. ეგეც შეგიყვარდება. ‘ერეულ...

კატო. როდის?

კეკელა. (სიცილით) როცა დრო იქნება, როცა გაიცნობ.

კატო (გაჯავრებით) ოხ, დედაჩემო, შენთან ლაპარაკი არა ღირს, თავი გამანებე.

კეკელა. (დაუყვავებს) არა, ენაცვალოს დედაი, გეხუმრებოდი. ეხლა კი მე გავალ და შენც მალე გამოდი. ჩაი ხომ მზათ არის?

კატო. მალე იქნება შენ წადი, სირცხვილია, რას იტყვიან.

კეკელა. აი მივდივარ. (უნდა გავიდეს. მარა ამ დროს კარები გაიღება და „ჩიტიბუღა“ მღვდელი გამოჩნდება).

მღვდელი. (ხუმრობით) თავი რას დაგვანებე ადამიანო, მოგძულდით? (შეამჩნევს კატოს) ოხ, კატოს ვახლავარ (მივა და ხელს ართმევს). აქ მარტოკა რას უმღერი, აზირ იქით გამოხვიდე შე კარგო ქალო.

კატო. ეხლავე, მამაო ონისე, ეხლავე. ჩაის ვამზადებდი.

მღვდელი. თქვენი ცხელი წყალი რათ გვინდა, აზირ „ნუნუა“ მოიტანოთ (კეკელას მიუბრუნდება) შენ ეი, ‘ენწო ქვრივო!

კეკელა. (სიცილით) იმასაც მოგართმევთ, დაიცა, გიორგი მოვიდეს.

კატო. ბარემ აქ დავლიოთ ჩაი (დედასკენ) გამოიწვიე ის სტუმარი.

მღვდელი. მე თვითონ დაუძახებ, მარა იქით.ი სჯობია, უფრო თბილა.

კატო. თქვენი ნებაა, მაშ ემსაჩი გამოვალ და ჩაისაც მოგართმევთ.

მღვდელი. გოგო კატო, ის რაღაც გაჯის სატყაპელი გაქვს, წელან რომ უკრავდი, ისიც გამოიტა (კეკელასკენ) წავიჯეთ ჩვენ.

კატო. მამაო ონისე, ამ სტოლის გატანა მიშველეთ.

მღვდელი. აი შენ მამა... დამსაქმე კიდეც, ჰმ! როგორ გიხარიან, რომ შენი ნიშნობაა ხვალა?

კატო. (მორცხვათ) სრულებითაც არა.

მღვდელი. მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, იქნება შენ თვითონ გვეხვეწებოდე, წავიდეთ (იღებენ სტოლს და მიაქვთ. კეკელა უკან მისდევს. ცოტა ხნის უკან კატო შემოდის გაფიორებული).

კატო. (მარტო) ღმერთო ჩემო! ნუთუ მართალია? არა, არ დავიჯერებ, სოლომანი მატყუარა არ არის. მე ის არ მიღალატებს, ტყუილი თქვა, ვითომ უყვარდეს ქალების მოტყუება. (ჩაფიქრდება). არა, ეგ ტყუილს არ იტყოდა, თუ მართალი არ არის, ხომ არ იცის, რომ მე მიყვარს. (ოხვრით) ეჰ! გავალ, ყოველისფერს გავიგებ დანამდვილებით. (მხიარულათ) დეე მივცემ მაგას პირობას, დავინიშნები კიდეც, ეგ სოლომანს სჯობია, ONъ душка და თუ მაინცა და მაინც სოლომანი მოვიდა მაშინ ხელს ავიღებ. (დგება და მიდის) ორ წყალ შუა ვარ, ორ წყალ შუა. (გადის).

(ფარდა)

(დასასრული იქნება)

ბლეხი ვ—ნო.

მათრახის ფოსტა.

ოზურგეთი. ზოტელს. თქვენი დეპეშა:

„უძღვნი გურულებს.

გურული კაცი ძმავ მიყვარს,
მისი მასტური ენაცა,
ბაბაცა მისი შემქნელი,
ბშობლ-გამზრდელი ნენაცა.
მათ მოკლე ჩაქურ სამოსელ
ცქვიტ სიარული ფრენაცა
მოსწორებით სიტყვის თქმულება
საუცხ სიმღერით ლხენაცა.“

ჩვენ ძდიერ მოგვწონს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მოკლეა, მერმე კიდევ იმიტომ, რომ გურულები გვყვარებით. ჩვენტ გვიყვარს, მაგრამ ასეთ დეპეშა მაინც ვერ დავწერთ.

გუდაუთი. გუდაუთელ ეშმაკს. თქვენტ ძდიერ გვყვარებით ჩაგრუდი ხადხი. ჩანებუდი სიქმეა!

„ჩაგრულო გირჩევ სხნისა იმედით
ფიქრთა მორევში არა შეტოპო;
და ამით შენსა ჩაგრულ არსებას
წყლულზედა წყლული არ დაუმატო.“

სამწუხაროდ ამ ტაუბადან გვრავენ ვერ გაიგებს, თუ რისთვის ავერთხდებით თქვენ ჩაგრუდებს ფიქრთა მორევისაგან და ამისთვის იძულებული ვართ მეორე ტელეგრამა მოვეგებნოთ:

„ფიქრთა მორევის ურგი ტალღები
შორს შორს შეგითრევს, შეგასრიალებს,
სულს დაგიწყლულებს, გულითაც დაგცემს
და გონებასაც დაგიზიანებს.“

ეს რომ მარადი იყოს, მაშინ თქვენ ეველაზე უფრო მეტი მოფიქრე უნდა ეოფილიეკოთ, მაგრამ რადგან ეს ასე არ არის, იმიტომაც სწერთ ასეთ დეპეშებს.

ხონი. ამხანაგ ეშმაკს. გთხოვთ ორიკე გამოგგიგზავნოთ. დიდთ დაგეკვლებთ.

იყიდება „შრომის“ სტამბაში
და ავრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:
1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.

წელიწადი 1910 წლისათვის მეოთხე.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ეს ამ თავდახ გამოიწერეს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, აგვისტოს პირველ რიცხვებშ ჟურნალთან ერთად

პრემიათ გაეგზავნება
ახალი პრეგული

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ
ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома.
Василію Караманович Болквадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის კ. № 3. დაჟეტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.

კეთილი მოძღვარი



ერთი ბავარიელი მოძღვარი ურჩევს თავის საყვარელ სამწყსოს: ქვეყნის დალუპვამდე ფულები მას, სულიერ მამას მიაბარონ. აბარებენ.



კუდიანი ვარსკლავის გამოჩენამ დიდი შიში გამოიწვია!

მაგრამ დაბეთ სასწაულს, გაიენდა, მზე ისევ ელვარებს; კომეტა გაჰქრა.

გაჰქრა აგრეთვე მოძღვარიც, გაჰქრენ... ფულებიც!!